# სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 30 ივნისით დასრულებული
ნახევარწლიური პერიოდისათვის

# სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

**სარჩევი**


გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2020 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 5
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ორგანიზაცია 7
2. შესაბამისობა 8
3. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 8
4. მიღებული გასამრჯელო და საკომისიო 8
5. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი 9
6. სხვა საოპერაციო ხარჯები 9
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 9
8. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით 10
9. კლიენტებზე გაცემული სესხები 11
10. ძირითადი საშუალებები 13
11. გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები 14
12. არამატერიალური აქტივები 15
13. სხვა აქტივები 15
14. ნასესხები სახსრები 16
15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 18
16. სხვა ვალდებულებები 19
17. სააქციო კაპიტალი და რეზერვები 19
18. კაპიტალის მართვა 20
19. საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები 22

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში "კომპანია") და მისი შვილობილის - შპს კრისტალ კონსალტინგის (შემდგომში "ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2020 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 14 აგვისტოს.

____________________________
დავით ზენდელიანი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 14 აგვისტო
თბილისი, საქართველო

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**
**2020 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის**
**(ათასი ლარი)**

| | შენიშვნები | 6 თვე 2020 | 2019 |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 3 | 37,413 | 73,997 |
| საპროცენტო ხარჯი | 3 | (14,957) | (22,634) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის განცდამდე პროცენტიან აქტივებზე** | | **22,456** | **51,363** |
| გაუფასურების ზარალი პროცენტიან აქტივებზე | 9 | (2,590) | (8,680) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | **19,866** | **42,683** |
| მიღებული გასამრჯელო და საკომისიო | 4 | (10,719) | 1,319 |
| წმინდა შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით შემოსულობაში/(ზარალში) ასახვით | 8 | 15,635 | 2,133 |
| უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი | | (8,718) | (6,805) |
| სხვა შემოსავალი | | 360 | 230 |
| **სხვა არასაპროცენტო ხარჯების გამოკლებით** | | **(3,442)** | **(3,123)** |
| **საოპერაციო შემოსავალი** | | **16,424** | **39,560** |
| თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი | 5 | (10,604) | (21,808) |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები | 10,11,12 | (1,887) | (4,651) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 6 | (5,592) | (12,459) |
| **მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე** | | **(1,659)** | **642** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | 43 | (966) |
| **წლის წმინდა მოგება** | | **(1,616)** | **(324)** |
| სხვა სრული შემოსავალი | | - | - |
| **წლის მთლიანი სრული შემოსავალი** | | **(1,616)** | **(324)** |

_______________________________
დავით ბენდელიანი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 14 აგვისტო
თბილისი, საქართველო

7-22 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

## ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
## 2020 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათასი ლარი)

| | შენიშვნები | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 7 | 26,088 | 20,106 |
| მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | 8 | 10,577 | - |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 9 | 305,274 | 297,211 |
| ძირითადი საშუალებები | 10 | 4,838 | 5,602 |
| გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები | 11 | 3,067 | 3,577 |
| არამატერიალური აქტივები | 12 | 2,529 | 2,564 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი | | 482 | 469 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები | | 3,411 | 3,411 |
| სხვა აქტივები | 13 | 3,736 | 4,155 |
| **სულ აქტივები** | | **360,002** | **337,095** |
| **ვალდებულებები** | | | |
| მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | 8 | 757 | 4,292 |
| ნასესხები სახსრები | 14 | 283,835 | 253,983 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 15 | 12,707 | 12,667 |
| საიჯარო ვალდებულება | 11 | 3,770 | 3,914 |
| გადასახდელი დივიდენდები | 17 | - | 767 |
| სხვა ვალდებულებები | 16 | 687 | 1,610 |
| **სულ ვალდებულებები** | | **301,756** | **277,233** |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 17 | 3,635 | 3,635 |
| დამატებითი შენატანები კაპიტალში | 17 | 22,110 | 22,110 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 32,501 | 34,117 |
| **სულ კაპიტალი** | | **58,246** | **59,862** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **360,002** | **337,095** |



______________________________
დავით ზენდელიანი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 14 აგვისტო
თბილისი, საქართველო

7-22 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
## 2020 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათასი ლარი)

| | შენიშვნები | საწესდებო კაპიტალი | დამატებითი შენატანები კაპიტალში | წილობრივი ინსტრუმენ-ტებით გადახდის რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **2019 წლის 1 იანვარი** | | **3,061** | **12,718** | **-** | **35,208** | **50,987** |
| წლის სრული შემოსავალი | | - | - | - | (324) | (324) |
| პრივილეგირებული აქციების გამოშვება | 17 | 574 | 9,392 | - | - | 9,966 |
| გამოცხადებული დივიდენდები | 17 | - | - | - | (767) | (767) |
| **2019 წლის 31 დეკემბერი** | | **3,635** | **22,110** | **-** | **34,117** | **59,862** |
| პერიოდის სრული შემოსავალი | | - | - | - | (1,616) | (1,616) |
| **2020 წლის 30 ივნისი** | | **3,635** | **22,110** | **-** | **32,501** | **58,246** |



_______________________________
დავით ბენდელიანი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 14 აგვისტო
თბილისი, საქართველო

7-22 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**
**2020 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის**
(ათასი ლარი)

| | შენიშვნები | 6 თვე 2020 | 2019 |
|---|---|---|---|
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები** | | | |
| მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე | | (1,659) | 642 |
| *კორექტირებები:* | | | |
| წმინდა (შემოსულობა)/ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით | | (15,635) | (2,133) |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები | 10,11,12 | 1,887 | 4,651 |
| საპროცენტო შემოსავალი | 3 | (37,413) | (73,997) |
| საპროცენტო ხარჯები | 3 | 14,957 | 22,634 |
| გაუფასურების ზარალი პროცენტიან აქტივებზე | 9 | 2,590 | 8,680 |
| უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი | | 8,718 | 6,805 |
| ძირითადი საშუალებების გასხვისებასთან დაკავშირებული ზარალი | | 55 | 146 |
| **ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე** | | **(26,500)** | **(32,572)** |
| ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში: | | | |
| წმინდა ზრდა ფინანსურ ვალდებულებებში/წმინდა კლება ფინანსურ აქტივებში, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით | | 1,523 | 5,208 |
| კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა | | (2,332) | (39,809) |
| კლება სხვა აქტივებში | | 441 | 159 |
| ზრდა / (კლება) სხვა ვალდებულებებში | | 184 | (70) |
| **წმინდა ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში** | | **(184)** | **(34,512)** |
| მიღებული პროცენტი | | 29,303 | 73,045 |
| გადახდილი პროცენტი | | (12,549) | (22,157) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | 30 | (2,450) |
| **საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები** | | **(9,900)** | **(18,646)** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 10 | (538) | (1,374) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | 12 | (196) | (1,434) |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან | | 101 | 58 |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები** | | **(633)** | **(2,750)** |
| **ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები** | | | |
| ნასესხები სახსრებიდან შემოსული თანხები | 14 | 117,701 | 95,883 |
| ნასესხები სახსრების დაფარვა | 14 | (101,330) | (81,106) |
| ამონაგები სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან | 15 | - | 12,500 |
| სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა | 15 | - | (9,964) |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა | 11 | (494) | (871) |
| აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი | 17 | - | 9,966 |
| გადახდილი დივიდენდები | 17 | (767) | - |
| **ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები** | | **15,110** | **26,408** |
| **ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)** | | **4,577** | **5,012** |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი სახსრების ნაშთზე | | 1,405 | 1,141 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის მდგომარეობით | 7 | 20,106 | 13,953 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასასრულის მდგომარეობით** | 7 | **26,088** | **20,106** |



დავით ბენდელიანი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 14 აგვისტო
თბილისი, საქართველო

7-22 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## 1. ორგანიზაცია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“ (შემდგომში „კომპანია“) 2007 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა „კრისტალის ფონდის“ (საბჭოს გადაწყვეტილება №20, 2007 წლის 21 აგვისტო) გადაწყვეტილების საფუძველზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის (თარიღი: 2006 წლის 16 ივლისი) შესაბამისად.

2018 წლის 26 იანვარს კომპანიამ დააფუძნა შვილობილი კომპანია - შპს „Crystal Consulting“. შვილობილი კომპანია თანდათანობით იწყებს ფუნქციონირებას და მისი მთავარი საქმიანობა იქნება საკონსულტაციო მომსახურებები, საორგანიზაციო განვითარება, ხელმძღვანელობა, ტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაცია და მომსახურება მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ და შპს „Crystal Consulting“-ის („ჯგუფი“) იურიდიული მისამართია: ნიკეას ქ. №22, ქუთაისი, საქართველო.

ჯგუფის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ჯგუფის ოპერაციების ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, რომლის წევრებსაც დანიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ჯგუფის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელთა გუნდი.

ჯგუფის მიზანია საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა და განვითარება, კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათთვის მისაღები ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ჯგუფის ფინანსური პროდუქტები მოიცავს შემდეგს: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, სასოფლო-სამეურნეო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები, სესხები უძრავი ქონების შეძენისთვის და მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მთელი საქართველოს მასშტაბით ორმოცდარვა ფილიალი (2018 წელთან შედარებით: ორმოცი ფილიალი და ოცდაორი სერვის-ცენტრი (ე.წ. „ბუტიკები“)) და სათაო ოფისი აქვს თბილისსა და ქუთაისში.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს შემდეგი აქციონერები ფლობდნენ:

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **პირველი დონის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:** | | |
| ფონდი კრისტალი | 46.53% | 46.53% |
| AGRIF COÖPERATIEF U.A. | 37.12% | 37.12% |
| DWM Funds S.C.A-SICAV SIF | 12.37% | 12.37% |
| ჯგუფის ხელმძღვანელობა | 3.14% | 3.14% |
| ქეით იანგი | 0.84% | 0.84% |
| **სულ** | **100%** | **100%** |

2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მთავარი აქციონერია „ფონდი კრისტალი“ 46,53%-იანი წილით.

„ფონდი კრისტალი“ საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ არსებული არაკომერციული კორპორაციაა და როგორც ასეთი მის წევრებს არ აქვთ ფონდში საკუთრება და რაიმე სახის ეკონომიკური უფლება. 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფონდის წევრები და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეებია: არჩილ ბაკურაძე, პაატა წოწონავა, ალუ გამახარია, ფრედერიკ რიგნოლდ ჰაიდ-ჩემბერსი და ქეით იანგი. წევრებს „ფონდ კრისტალში“ თანაბარი ხმის უფლება აქვთ.

## 2. შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ("ფასს") შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ, ხოლო ინტერპრეტაციები ეკუთვნის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციის კომიტეტს („ფასსიკ").

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ჯგუფი რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") მიხედვით.

## 3. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| | 6 თვე 2020 | 2019 |
|---|---|---|
| **ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი** | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 35,800 | 71,634 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 691 | 321 |
| სხვა შემოსავალი | 328 | 121 |
| | **36,819** | **71,955** |
| **სხვა საპროცენტო შემოსავალი:** | | |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | 594 | 2,042 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებიდან** | **37,413** | **73,997** |
| **საპროცენტო ხარჯები** | | |
| ნასესხები სახსრები | (14,022) | (19,885) |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | (792) | (2,437) |
| საიჯარო ვალდებულება | (143) | (312) |
| | **(14,957)** | **(22,634)** |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **22,456** | **51,363** |

## 4. მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

| | 6 თვე 2020 | 2019 |
|---|---|---|
| უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული დანაკარგები | (10,908) | 881 |
| შემოსავალი სხვა გასამრჯელოდან და საკომისიოდან | 189 | 438 |
| | **(10,719)** | **1,319** |

## 5. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი

| | 6 თვე 2020 | 2019 |
|---|---|---|
| ხელფასები და სხვა სარგებელი | 10,604 | 21,808 |
| | **10,604** | **21,808** |

## 6. სხვა საოპერაციო ხარჯები

| | 6 თვე 2020 | 2019 |
|---|---|---|
| მოკლევადიან იჯარებთან და დაბალფასიან ერთეულებთან დაკავშირებული დანახარჯები | 1,478 | 3,309 |
| იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება | 647 | 1,061 |
| კომუნალური მომსახურებები და კავშირგაბმულობა | 591 | 1,619 |
| საწევრო შენატანები | 383 | 922 |
| დაზღვევა | 274 | 325 |
| საბანკო ხარჯები | 265 | 969 |
| სახარჯო მასალები და საოფისე აღჭურვილობა | 205 | 574 |
| საქველმოქმედო საქმიანობა | 171 | 55 |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | 160 | 143 |
| მარკეტინგი და რეკლამა | 122 | 486 |
| საწვავი | 100 | 416 |
| დაცვა-უსაფრთხოება | 85 | 203 |
| სამივლინებო ხარჯები | 67 | 369 |
| რემონტი და ტექნიკური მომსახურება | 53 | 223 |
| თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება | 10 | 145 |
| საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების კვლევა | - | 124 |
| სხვა | 981 | 1,516 |
| | **5,592** | **12,459** |

## 7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში | 16,339 | 11,785 |
| ნაშთები ბანკში | 9,749 | 8,321 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ** | **26,088** | **20,106** |

ჯგუფის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ჯგუფის ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ქართულ ბანკებში და ისინი გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობებისთვის.

2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ბანკში არსებული ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ B (მოკლევადიანი) და BB- (გრძელვადიანი) რეიტინგი.

## 8. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | | |
| **წარმოებული ფინანსური აქტივები** | | - |
| უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები | - | - |
| ვალუტის სვოპ ხელშეკრულებები | 10,577 | |
| | | - |
| მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | 10,577 | - |

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | | |
| **წარმოებული ფინანსური ვალდებულებები** | | |
| უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები | - | (2,315) |
| ვალუტის სვოპ ხელშეკრულებები | 757 | (1,977) |
| მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | (757) | (4,292) |

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოიცავს უცხოური ვალუტის ხელშეკრულებებს.

### სავალუტო სვოპები

ჯგუფი ბანკებისგან იმავე ბანკში უცხოურ ვალუტაში შესრულებული ანაზრებით უზრუნველყოფილი საკომპენსაციო სესხების არაწარმოებულ გარიგებებს წარმოებულ ინსტრუმენტებში აერთიანებს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გარიგებები (ანაზრის განთავსება და სესხის აღება) არსებითად წარმოებულ ინსტრუმენტს წარმოქმნის. დასკვნა შემდეგ ინდიკატორებს ეფუძნება:

- ისინი ფორმდება ერთდროულად და ერთმანეთის გათვალისწინებით;
- მათ ერთი და იგივე კონტრაჰენტი ჰყავთ;
- ისინი ერთსა და იმავე რისკთან არიან დაკავშირებული;
- არ არსებობს აშკარა ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურიზაციისთვის, რომელიც ვერ განხორციელდება ერთ გარიგებაში;
- არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე.

### უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები

ფორვარდი არის სახელშეკრულებო შეთანხმება ორ მხარეს შორის, რომელთა შორისაც უნდა მოხდეს გარკვეული დროის განმავლობაში ფინანსური სახსრების გადახდები კონკრეტული ოდენობით.

უცხოური ვალუტის ფორვარდულ ოპერაციებში ჯგუფი იხდის თანხის გარკვეულ ოდენობას ერთ ვალუტაზე და იღებს გარკვეულ ოდენობას მეორე ვალუტაში. სავალუტო ფორვარდები ერთიანად იფარება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს არადისკონტირებულ სახელშეკრულებო თანხებს, რომლებიც დაუფარავია 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის დარჩენილი

პერიოდებით. უცხოური ვალუტის თანხების გადაფასება, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი ხდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. იმ ხელშეკრულებებზე მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომელთა ვადაც არ იყო დასრულებული, აისახება მოგება-ზარალში და ფინანსურ ინსტრუმენტებში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, ვითარებიდან გამომდინარე.

| | პირობითი თანხა | |
|---|---|---|
| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
| აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა | | |
| 3 თვეზე ნაკლები | 198,967 | 12,159 |
| 3-დან 12 თვემდე | - | 101,517 |
| | 198,967 | 113,676 |

## 9. კლიენტებზე გაცემული სესხები

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ძირითადი თანხა | 301,124 | 302,007 |
| დარიცხული პროცენტი | 16,587 | 8,477 |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | (12,437) | (13,273) |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **305,274** | **297,211** |
| **ანალიზი სექტორების მიხედვით:** | | |
| მომსახურება | 88,182 | 86,853 |
| სოფლის მეურნეობა | 88,544 | 82,049 |
| სამომხმარებლო | 60,390 | 61,923 |
| ვაჭრობა | 44,680 | 47,115 |
| ლომბარდი | 26,171 | 22,189 |
| წარმოება | 9,744 | 10,355 |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **317,711** | **310,484** |
| **კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები** | | |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | (12,437) | (13,273) |
| **კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა** | **305,274** | **297,211** |

კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. კლიენტებზე გაცემული სესხები კლასიფიცირებულია ფაქტორების კომბინაციის მიხედვით (ძირითადად სესხის ამღების შემოსავლის წყარო და სესხის მიზანი). ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების მიერ სამომხმარებლო მიზნებისათვის მიღებული სესხები წარმოდგენილია შესაბამის კატეგორიებში (ვაჭრობა, მომსახურება და სოფლის მეურნეობა) მსესხებლების ბიზნეს-საქმიანობის ტიპების მიხედვით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ტიპების მიხედვით 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

| | მთლიანი საბალანსო ღირებულება | ზარალის რეზერვი | საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|
| საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები: | | | |
| მომსახურება | 88,182 | (3,675) | 84,507 |
| სოფლის მეურნეობა | 88,544 | (4,067) | 84,477 |
| სამომხმარებლო | 60,390 | (1,915) | 58,475 |
| ვაჭრობა | 44,680 | (2,166) | 42,514 |
| ლომბარდი | 26,171 | (33) | 26,138 |
| წარმოება | 9,744 | (581) | 9,163 |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **317,711** | **(12,437)** | **305,274** |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ტიპების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | მთლიანი საბალანსო ღირებულება | ზარალის რეზერვი | საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|
| **საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:** | | | |
| მომსახურება | 86,853 | (3,478) | 83,375 |
| სოფლის მეურნეობა | 82,049 | (4,973) | 77,076 |
| სამომხმარებლო | 61,923 | (1,774) | 60,149 |
| ვაჭრობა | 47,115 | (2,272) | 44,843 |
| ლომბარდი | 22,189 | (27) | 22,162 |
| წარმოება | 10,355 | (749) | 9,606 |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **310,484** | **(13,273)** | **297,211** |

2018 წლის დეკემბერში საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ქართუს ინიციატივით, „სესხების პატიების“ პროგრამის ფარგლებში, ჯგუფმა გაყიდა გაუფასურებული და ჩამოწერილი პორტფელის ნაწილი 3,500 ათასი ლარის ოდენობით (თითოეული მათგანის ინდივიდუალური პოზიცია 2,000 ლარამდე იყო).

სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულებისა და სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

| | **6 თვე 2020** | | **2019** | |
|---|---|---|---|---|
| | მთლიანი საბალანსო ღირებულება | მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები | მთლიანი საბალანსო ღირებულება | მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები |
| ბალანსი პერიოდის დასაწყისში | 310,484 | (13,273) | 275,164 | (10,556) |
| პერიოდის მანძილზე დარიცხული ხარჯის შესაბამისი სესხების ნეტო პოზიცია / ხარჯი პერიოდის მანძილზე | 10,442 | (2,590) | 40,926 | (8,876) |
| პერიოდის მანძილზე ჩამოწერილი სესხები | (3,848) | 3,848 | (7,382) | 7,382 |
| ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა | 388 | (388) | 1,193 | (1,193) |
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება | 245 | (34) | 583 | (30) |
| **ბალანსი პერიოდის ბოლოს** | **317,711** | **(12,437)** | **310,484** | **(13,273)** |

## 10. ძირითადი საშუალებები

| | შენობები | სატრანსპორტო საშუალებები | ავეჯი | IT აღჭურვილობა | საიჯარო გაუმჯობესებები | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **თვითღირებულება** | | | | | | | |
| 2020 წლის 1 იანვარს | 105 | 1,184 | 1,229 | 3,399 | 6,087 | 4,071 | 16,075 |
| შესყიდვები | - | 93 | 10 | 56 | 143 | 236 | 538 |
| გასვლები | - | (93) | (1) | (7) | (89) | (13) | (203) |
| გადატანები | - | - | 9 | 46 | - | (55) | - |
| **2020 წლის 30 ივნისს** | **105** | **1,184** | **1,247** | **3,494** | **6,141** | **4,239** | **16,410** |
| | | | | | | | |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | | | |
| 2020 წლის 1 იანვარს | (41) | (607) | (802) | (1,911) | (4,346) | (2,766) | (10,473) |
| ცვეთა პერიოდის განმავლობაში | (2) | (112) | (87) | (227) | (479) | (239) | (1,146) |
| გასხვისებისას აღმოფხვრილი | - | - | 1 | - | 40 | 6 | 47 |
| **2020 წლის 30 ივნისს** | **(43)** | **(719)** | **(888)** | **(2,138)** | **(4,785)** | **(2,999)** | **(11,572)** |
| | | | | | | | |
| **საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| **2020 წლის 30 ივნისს** | **62** | **465** | **359** | **1,356** | **1,356** | **1,240** | **4,838** |

| | შენობები | სატრანსპორტო საშუალებები | ავეჯი | IT აღჭურვილობა | საიჯარო გაუმჯობესებები | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **თვითღირებულება** | | | | | | | |
| 2019 წლის 1 იანვარს | 105 | 1,184 | 1,024 | 2,938 | 5,194 | 4,901 | 15,346 |
| შესყიდვები | - | - | 172 | 267 | 598 | 337 | 1,374 |
| გასვლები | - | - | (9) | (13) | (442) | (181) | (645) |
| გადატანები | - | - | 42 | 207 | 737 | (986) | - |
| **2019 წლის 31 დეკემბერს** | **105** | **1,184** | **1,229** | **3,399** | **6,087** | **4,071** | **16,075** |
| | | | | | | | |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | | | |
| 2019 წლის 1 იანვარს | (38) | (376) | (628) | (1,470) | (2,855) | (2,280) | (7,647) |
| ცვეთა წლის განმავლობაში | (3) | (231) | (181) | (454) | (1,835) - | (563) | (3,267) |
| გასხვისებისას აღმოფხვრილი | - | - | 7 | 13 | 344 | 77 | 441 |
| **2019 წლის 31 დეკემბერს** | **(41)** | **(607)** | **(802)** | **(1,911)** | **(4,346)** | **(2,766)** | **(10,473)** |
| | | | | | | | |
| **საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| **2019 წლის 31 დეკემბერს** | **64** | **577** | **427** | **1,488** | **1,741** | **1,305** | **5,602** |

სხვა ძირითადი საშუალებები უმეტესად მოიცავს უსაფრთხოების სისტემებს და გენერატორებს.

2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონია კაპიტალიზირებული სესხის ხარჯები შესყიდულ ან აშენებულ ქონებაზე.

## 11. გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები

| | შენობა-ნაგებობები და ოფისები | სატრანსპორტო საშუალებები | სულ |
|---|---|---|---|
| თვითღირებულება | | | |
| ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს | 3,516 | 1,023 | 4,539 |
| **ნაშთი 2020 წლის 30 ივნისს** | **3,516** | **1,023** | **4,539** |
| ცვეთა | | | |
| ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს | (659) | (303) | (962) |
| ცვეთა პერიოდის განმავლობაში | (330) | (180) | (510) |
| **ნაშთი 2020 წლის 30 ივნისს** | **(989)** | **(483)** | **(1,472)** |
| **საბალანსო ღირებულება 2020 წლის 30 ივნისს** | **2,527** | **540** | **3,067** |

| | შენობა-ნაგებობები და ოფისები | სატრანსპორტო საშუალებები | სულ |
|---|---|---|---|
| თვითღირებულება | | | |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს | 3,516 | 778 | 4,294 |
| იჯარების მოდიფიცირება | - | 245 | 245 |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | **3,516** | **1,023** | **4,539** |
| ცვეთა | | | |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს | - | - | - |
| ცვეთა წლის განმავლობაში | (659) | (303) | (962) |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | **(659)** | **(303)** | **(962)** |
| **საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს** | **2,857** | **720** | **3,577** |

მოძრაობა საიჯარო ვალდებულებებში 2019 წელს იყო შემდეგი:

| | 6 თვე 2020 | 2019 |
|---|---|---|
| საწყისი ნაშთი / პირველადი აღიარება | 3,914 | 4,294 |
| შესყიდვები | - | 245 |
| საპროცენტო ხარჯი | 143 | 312 |
| საკურსო სხვაობით მიღებული (შემოსულობა)/ზარალი | 207 | 246 |
| საიჯარო პროცენტის დაფარვა | - | (312) |
| საიჯარო ძირი თანხის დაფარვა | (494) | (871) |
| **სულ** | **3,770** | **3,914** |

საშუალო შეწონილი იჯარის ვადა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის 4,8 წელია, ხოლო მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საიჯარო ვალდებულებებთან მიმართებაში გამოიყენება 7,6%-ია.

| მოგებაში და ზარალში აღიარებული თანხები | 6 თვე 2020 | 2019 |
|---|---|---|
| ცვეთის ხარჯი | (510) | (962) |
| საპროცენტო ხარჯი | (143) | (312) |
| ვალუტის გაცვლის ეფექტი | (207) | (246) |
| მოკლევადიან იჯარებთან და დაბალფასიან ერთეულებთან დაკავშირებული დანახარჯები | (1,478) | (3,309) |
| **სულ** | **(2,338)** | **(4,829)** |

## 12. არამატერიალური აქტივები

| | არამატერიალური აქტივები |
|---|---|
| **თვითღირებულება** | |
| **2019 წლის 1 იანვარს** | **2,967** |
| შესყიდვები | 1,434 |
| **2019 წლის 31 დეკემბერს** | **4,401** |
| შესყიდვები | 196 |
| **2020 წლის 30 ივნისს** | **4,597** |
| | |
| **დაგროვილი ამორტიზაცია** | |
| **2019 წლის 1 იანვარს** | **(1,415)** |
| წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია | (422) |
| **2019 წლის 31 დეკემბერს** | **(1,837)** |
| წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია | (231) |
| **2020 წლის 30 ივნისს** | **(2,068)** |
| | |
| **საბალანსო ღირებულებები** | |
| **2019 წლის 31 დეკემბერს** | **2,564** |
| **2020 წლის 30 ივნისს** | **2,529** |

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს, მათ შორის დაუმთავრებელ წარმოებას, ორგანიზაციაში შემუშავებულ პროგრამულ უზრუნველყოფას 289 ათასი ლარის ოდენობით.

## 13. სხვა აქტივები

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 1,914 | 2,297 |
| **სულ სხვა ფინანსური აქტივები** | **1,914** | **2,297** |
| გადახდილი ავანსები | 859 | 937 |
| დასაკუთრებული აქტივები | 669 | 683 |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | 294 | 108 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | - | 130 |
| **სულ სხვა არაფინანსური აქტივები** | **1,822** | **1,858** |
| | | |
| **სხვა აქტივები, სულ** | **3,736** | **4,155** |

სხვა დებიტორული დავალიანებების მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფს არ აქვს აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა დებიტორული დავალიანება მოიცავს სწრაფი გადახდის აპარატების კომპანიებისგან მოთხოვნებს, რომლებიც მალევე იფარება ანგარიშგების თარიღის შემდეგ.

## 14. ნასესხები სახსრები

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას ამორტიზებული ღირებულებით წარმოდგენილი პროცენტის მატარებელი სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები | 277,709 | 248,235 |
| სუბორდინირებული ვალი | 6,126 | 5,748 |
| **სულ ნასესხები სახსრები** | **283,835** | **253,983** |

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ძირითადი თანხა | 278,231 | 250,604 |
| დარიცხული პროცენტი | 5,604 | 3,379 |
| **სულ ნასესხები სახსრები** | **283,835** | **253,983** |

ჯგუფის მიერ ნასესხები თანხები მოკლე და გრძელვადიანი კლასიფიკაცია შემდეგია:

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| *გრძელვადიანი ვალდებულებები* | | |
| ნასესხები სახსრები | 210,871 | - |
| *მიმდინარე ვალდებულებები* | | |
| ნასესხები სახსრები | 72,964 | 253,983 |
| **სულ ნასესხები სახსრები** | **283,835** | **253,983** |

**სუბორდინირებული ვალი**

2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებული ვალი არის არაუზრუნველყოფილი სესხი, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციისგან „Bank Im Bistum Essen EG“ არის მიღებული, ვადა 2025 წელს გასდის, წლიური საპროცენტო განაკვეთით 9%, და შეადგენს 6,126 ათას ლარსა და 5,748 ათას ლარს, შესაბამისად.

გაკოტრების შემთხვევაში სუბორდინირებული ნასესხები სახსრების დაფარვა განხორციელდება ჯგუფის ყველა სხვა ვალდებულების სრულად დაფარვის შემდეგ.

### ვადები და ვალის დაფარვა

დაუფარავი ნასესხები თანხების პირობებია შემდეგი:

| | ვალუტა | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | ვადის ამოწურვის წელი | 2020 წლის 30 ივნისი საბალანსო ღირებულება | 2019 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე | აშშ დოლარი | 4.26% - 7.50% | 2020 – 2024 | 166,833 | 112,687 |
| ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე | ლარი | 11.03% - 14.90% | 2020 – 2024 | 110,876 | 135,548 |
| სუბორდინირებული ვალი უზრუნველყოფის გარეშე | ლარი | 9.08% | 2025 | 6,126 | 5,748 |
| **სულ ნასესხები სახსრები** | | | | **283,835** | **253,983** |

### ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ცვლილებების შეჯერება

| | 2020 წლის 1 იანვარი | სესხების მიღება 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში | სესხების დაფარვა 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში | 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი | 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში გადახდილი პროცენტი | საკურსო ზარალი 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში | 2020 წლის 30 ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნასესხები სახსრები | 253,983 | 117,701 | (101,330) | 14,022 | (11,797) | 11,256 | **283,835** |

| | 2019 წლის 1 იანვარი | სესხების მიღება 2019 წლის განმავლობაში | სესხების დაფარვა 2019 წლის განმავლობაში | 2019 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი | 2019 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი | საკურსო ზარალი 2019 წლის განმავლობაში | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნასესხები სახსრები | 230,917 | 95,883 | (81,106) | 19,885 | (19,594) | 7,998 | **253,983** |

### კოვენანტის მოთხოვნები

ჯგუფი ვალდებულია შეასრულოს ფინანსური კოვენანტები ზემოთ ჩამოთვლილი სესხებისთვის. ეს კოვენანტები მოიცავს განსაზღვრულ კოეფიციენტებს, ასევე ლიკვიდურობის, მომგებიანობისა და რისკის დაფარვის კოეფიციენტებს.

## 15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდების სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ძირითადი თანხა | 12,449 | 12,407 |
| დარიცხული პროცენტი | 258 | 260 |
| **სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები** | **12,707** | **12,667** |

ჯგუფის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციით არის შემდეგი:

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| *გრძელვადიანი ვალდებულებები* | | |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | - | 12,407 |
| *მიმდინარე ვალდებულებები* | | |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 12,707 | 260 |
| **სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები** | **12,707** | **12,667** |

### კორპორატიული ობლიგაციები

2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ 2019 წლის მარტის თვეში გამოშვებულ კორპორატიულ ობლიგაციას, ნომინალური ღირებულებით 12,5 მილიონი ლარი, რომლის დაფარვის ვადა 2021 წლის თებერვალია. ობლიგაციების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების წლიურ განაკვეთს დამატებული 4%-ით.

### ვადები და ვალის დაფარვა

დაუფარავი სავალო ფასიანი ქაღალდების პირობებია შემდეგი:

| | ვალუტა | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | ვადის ამოწურვის წელი | 2020 წლის 30 ივნისი საბალანსო ღირებულება | 2019 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | ლარი | 4%+ სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი | 2021 | 12,707 | 12,667 |
| **სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები** | | | | **12,707** | **12,667** |

ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ცვლილებების შეჯერება:

| | 2020 წლის 1 იანვარი | სესხების მიღება 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში | სესხების დაფარვა 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში | 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი | 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში გადახდილი პროცენტი | საკურსო ზარალი 2020 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში | 2020 წლის 30 ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 12,667 | - | - | 792 | (752) | - | **12,707** |

| | 2019 წლის 1 იანვარი | სავალო ფასიანი ქაღალდების მიღება 2019 წლის განმავლობაში | სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა 2019 წლის განმავლობაში | 2019 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი | 2019 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი | 2018 წლის განმავლობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავლობა | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 9,945 | 12,500 | (9,964) | 2,437 | (2,251) | - | **12,667** |

## 16. სხვა ვალდებულებები

| | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სხვა კრედიტორული დავალიანება | 434 | 781 |
| თანამშრომლების ანაზღაურების დანარიცხები | 194 | 822 |
| **სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები** | **628** | **1,603** |
| სხვა არაფინანსური ვალდებულებები | 59 | 7 |
| **სულ სხვა არაფინანსური ვალდებულებები** | **59** | **7** |
| სხვა ვალდებულებები, სულ | **687** | **1,610** |

## 17. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

### საწესდებო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

| პარტნიორი | აქციების რაოდენობა | სტანდარტული/არა გამოსყიდვადი პრივილეგირებული | აქცია % | ხმის უფლებები | კაპიტალი ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| ფონდი კრისტალი | 1,424,515 | ჩვეულებრივი | 46.53% | 46.53% | 1,424 |
| AGRIF COÖPERATIEF U.A. | 1,136,157 | ჩვეულებრივი | 37.12% | 37.12% | 1,136 |
| DWM Funds S.C.A-SICAV SIF | 378,719 | ჩვეულებრივი | 12.37% | 12.37% | 379 |
| ჯგუფის ხელმძღვანელობა | 96,114 | ჩვეულებრივი | 3.14% | 3.14% | 96 |
| კის იანგი | 25,677 | ჩვეულებრივი | 0.84% | 0.84% | 26 |
| | **3,061,182** | | **100.00%** | **100.00%** | **3,061** |
| DWM Funds S.C.A-SICAV SIF | 304,613 | პრივილეგირებული | 53.12% | 0.00% | 305 |
| AGRIF COÖPERATIEF U.A. | 268,781 | პრივილეგირებული | 46.88% | 0.00% | 269 |
| | **573,394** | | **100.00%** | **0.00%** | **574** |

სააქციო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| პარტნიორი | აქციების რაოდენობა | სტანდარტული/არა გამოსყიდვადი პრივილეგირებული | აქცია % | ხმის უფლებები | კაპიტალი ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| ფონდი კრისტალი | 1,424,515 | ჩვეულებრივი | 46.53% | 46.53% | 1,424 |
| AGRIF COÖPERATIEF U.A. | 1,136,157 | ჩვეულებრივი | 37.12% | 37.12% | 1,136 |
| DWM Funds S.C.A-SICAV SIF | 378,719 | ჩვეულებრივი | 12.37% | 12.37% | 379 |
| ჯგუფის ხელმძღვანელობა | 96,114 | ჩვეულებრივი | 3.14% | 3.14% | 96 |
| კის იანგი | 25,677 | ჩვეულებრივი | 0.84% | 0.84% | 26 |
| | 3,061,182 | | 100.00% | 100.00% | 3,061 |
| DWM Funds S.C.A-SICAV SIF | 304,613 | პრივილეგირებული | 53.12% | 0.00% | 305 |
| AGRIF COÖPERATIEF U.A. | 268,781 | პრივილეგირებული | 46.88% | 0.00% | 269 |
| | 573,394 | | 100.00% | 0.00% | 574 |

**საემისიო კაპიტალი**

საემისიო კაპიტალი წარმოადგენს თანხას, რაც მიღებულ იქნება აქციის სარეგისტრაციო ღირებულების გარდა. შესაბამისად, მისი შექმნა შესაძლებელია იგივე საშუალებით, როგორც სააქციო კაპიტალის: 1) აქციების გამოშვება, და 2) ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში.

საემისიო კაპიტალი შეადგენდა 22,110 ათას ლარს, 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კაპიტალის ზრდა 2019 წელს ამავე წლის მარტის თვეში პრივილეგირებული აქციის გამოშვების შედეგია.

**დივიდენდები**

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო მიიღონ დივიდენდები და უფლებამოსილნი არიან, ყოველწლიურად ჯგუფის აქციონერთა კრებაზე მიიღონ ერთ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება.

პრივილეგირებული აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდები წლიური საპროცენტო განაკვეთით 10%. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდის ნებისმიერი დაპირება უქმდება და ეფუძნება წლის მოგებას და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას.

აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე, 767 ათასი ლარის დივიდენდები გამოცხადდა 2019 და გაიცა 2020 წელს.

## 18. კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნებისას ჯგუფის მიზნებია:

- უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, ისეთი ფორმით, რომ მან გააგრძელოს აქციონერებისთვის უკუგების შექმნა; და
- აქციონერებისთვის ადეკვატური ამონაგების უზრუნველყოფა რისკის დონის შესაბამისი ფასწარმოქმნის მომსახურებებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის რაოდენობას, რომელსაც ის რისკის პროპორციულად მოითხოვს. ჯგუფი თავის კაპიტალის სტრუქტურას მართავს და მასში კორექტირებები შეაქვს ეკონომიკური პირობების ცვლილების და საბაზისო აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს. გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

ჯგუფი შეესაბამება მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს - კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000 ათას ლარზე ნაკლები.

2018 წლის 1 სექტემბერიდან ჯგუფს ასევე ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური მოთხოვნები, როგორებიც არის: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდობა, ინვესტიცია, ქონებრივი ინვესტიცია, დაგირავებული აქტივებისა და ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტები. შესაბამისობა ამ კოეფიციენტებთან ყოველთვიურად კონტროლდება სებ-ის მიერ.

სებ-ის რეგულაციების შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია იქონიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მინიმალური დონე ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

- 2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 30 ივნისი: 16-18%
- 2019 წლის 1 ივლისის შემდეგ - სულ მცირე 18%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტთან შესაბამისობა 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | **2020 წლის 30 ივნისი** | **2019 წლის 31 დეკემბერი** |
|---|---|---|
| საწესდებო კაპიტალი | 3,635 | 3,635 |
| დამატებითი შენატანები კაპიტალში | 22,110 | 22,110 |
| გაუნაწილებელი მოგება | 32,501 | 34,117 |
| ავტორიზებული სუბორდინირებული ვალი | 6,126 | 5,748 |
| **საზედამხედველო კაპიტალი შემცირებამდე** | **64,372** | **65,610** |
| გამოკლებული: არამატერიალური აქტივები | (2,529) | (2,564) |
| **მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი** | **61,843** | **63,046** |

| | **2020 წლის 30 ივნისი** | **2019 წლის 31 დეკემბერი** |
|---|---|---|
| სულ აქტივები დაქვითვამდე | 360,002 | 337,095 |
| გამოკლებული: არამატერიალური აქტივები | (2,529) | (2,564) |
| **სულ აქტივები შემცირების შემდეგ** | **357,473** | **334,531** |

| | **2020 წლის 30 ივნისი** | **2019 წლის 31 დეკემბერი** |
|---|---|---|
| კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 17.30% | 18.85% |

## 19. საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები

კოვიდ-19-ის პანდემიამ ჯგუფის მომგებიანობის და დაფინანსების სტრუქტურაზე იმოქმედა და გამოიწვია შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების დარღვევა. მიმდინარეობს უარის წერილების მიღებასთან და/ან ინვესტორების მოთხოვნების ცვლილებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები. ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით ვალდებულებების დარღვევა არ იწვევს დეფოლტის რაიმე მოვლენას ან ვალდებულებების ჯვარედინ შეუსრულებლობას და რომ არსებული პროგნოზების და ღონისძიებების გათვალისწინებით ის საკმარისი ოდენობით თანხებს ფლობს საქმიანობის გასაგრძელებლად.

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა რესპირატორული დაავადების ეპიდემიის აფეთქება, რომელიც ახალი კორონავირუსით იყო გამოწვეული. ეს მოვლენა „პანდემიად“ გამოცხადდა. ეს დაავადება პირველად 2019 წლის ბოლოს გამოვლინდა და ახლა ის კოვიდ-19-ის სახელწოდებით არის ცნობილი. ეპიდემიამ ათასობით ადამიანზე იმოქმედა მთელს მსოფლიოში. მრავალმა ქვეყანამ განახორციელა ეპიდემიის აფეთქების დასაძლევი ღონისძიება, რამაც გლობალურ ბიზნეს-ოპერაციებზე იმოქმედა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის მდგომარეობით, ჯგუფის ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ არ იყვნენ; თუმცა ჯგუფი განაგრძობს ვითარების მონიტორინგს და მან კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები განახორციელა მისი კაპიტალის პოზიციის დასაცავად.

ჯგუფმა მიიღო შემდეგი დაფინანსება საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე:

- 2020 წლის იანვარში ჯგუფმა გაფორმა სასესხო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ფონდთან „BlueOrchard“, 2,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 3-წლიანი ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება სს „პაშა ბანკი საქართველოსთან“ 4,000 ათასი ლარის ოდენობით თანხაზე 2 წლის ვადით, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფის საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებამ სს „თიბისი ბანკთან“ 10,000 ათასი ლარი შეადგინა, 10-თვიანი ვადით და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ფონდთან „Blueorchard“, 3,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 4-წლიანი ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება „EFSE S.A. SICAV-SIF“-თან 5,000 ათასი ლარის აშშ დოლარის თანხაზე 3 წლის ვადით, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება „INCOFIN C.V.S.O.“-სთან, 8,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 3-წლიანი ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ფონდთან „SEB Microfinance Fund“, 3,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 3-წლიანი ვადით, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის მარტში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება შპს „MICROVEST EDF MASTER FUND“-თან, 8,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 3-წლიანი ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის მარტში ჯგუფმა გაფორმა სასესხო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ფონდთან „Blueorchard“, 5,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 2,5 წლის ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის ივნისში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება “ევროპის საინვესტიციო ბანკთან” – „European Investment Bank“, 2,300 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 4,5 წლის ვადით, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

2020 წლის აპრილში მელანია კუჭუხიძე შეუერთდა მმართველ გუნდს ახალი უფროსი ბიზნეს ოფიცრის სახით, რითაც ამ პოზიციაზე კახა გაბესკირია ჩაანაცვლა. ადრე ის უფროსი ბიზნეს ოფიცრის მოადგილის ფუნქციას ასრულებდა. კახა გაბესკირია გაუძღვება და განავითარებს ჯგუფის საქმიანობის ახალ ხაზს - ლიზინგი.

2020 წლის მაისში სერგო ნოზაძემ დატოვა ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების უფროსი ოფიცრის თანამდებობა. ამ მიმართულებასაც აღმასრულებელი დირექტორი უხელმძღვანელებს.